



მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019
წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ



მოგესალმებით ძვირფასო მოქალაქეებო!

მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია, რადგან ადგილობრივმა მკვიდრმა ყველაზე კარგად იცის საკუთარი პრობლემები და საჭიროებები.

ანგარიში მოიცავს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შედეგებით ანალიზს, გასული წლის მონაცემებთან, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად დაგეგმილი პროექტების შესრულების შესახებ ინფორმაციას, წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზსა და მათი გადაჭრის გზებს.

ჩვენი შვიდწლიანი მმართველობის პერიოდში განხორციელდა ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი. ადგილობრივი ხელისუფლების მიღწევად ვთვლი, მუნიციპალიტეტში ისეთი წარმატებული პროექტების განხორციელებას როგორცაა საბავშვო ბაღებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლებში ზემო სვანეთი იქცა მზარდი ტურისტული ინტერესის რეგიონად, რაც რა თქმა უნდა მისასალმებელია, მაგრამ ამავედროულად ჩვენ დავდექით მრავალი გამოწვევის წინაშე, რომელთა შესახებ ანგარიშში დეტალურად მოგახსენებთ.

ბიუჯეტი

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე წლის პრიორიტეტებად განსაზღვრული იყო სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ: შიდა გზების რეაბილიტაცია, წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, განათლების სფეროს ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა.

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმა შეადგენს **21 058 655** ლარს. 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გეგმა გაზრდილი გვაქვს 2 959 235 ლარით.

2019 წლის 11 თვის მდგომარეობით საკუთარი სახსრების ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა **10 472 073** ლარი შეადგინა, მათ შორის: ქონების გადასახადი 56 % -ია, დამატებული ღირებულების გადასახადიდან 30 %-ია, სხვა შემოსავლებიდან 14 %-ია შემოსავალი.

2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა განაწილებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადის 19 %), საიდანაც მესტიის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში 2019 წელს მიემართა განაწილებული დამატებული ღირებულების გადასახადის 0,35 %. სწორედ ამან განაპირობა 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა **1 426 427** ლარით. ხოლო ქონების გადასახადი წელს **535 428** ლარით გაიზარდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე და 206-ე მუხლების თანახმად მოხდა ქონების გადასახადის ნაწილში **960 820** ლარის უკან ხაზინაში დაბრუნება.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2019 წლის 11 თვის მდგომარეობით შეადგენდა **13 226 058.72** ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი გეგმის 63%-ს შეადგენს. (გეგმის 37%-ის შეუსრულებლობა გამოიწვია შიდა გზების ტენდერების 9-ჯერ ჩავარდნამ და ერთ-ერთი მომწოდებლის მიერ სპორტული სკოლების მშენებლობის არ დასრულებამ)

შესყიდვები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა 46 ელექტრონული ტენდერი. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 26 მათგანზე, 1 ტენდერი შეწყვეტილია, 2 დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 17 ტენდერი არ შედგა (არავინ მიიღო მონაწილეობა).

არშემდგარი ტენდერები სასურველი შედეგის მისაღებად მერიის მიერ ხელახლა იქნა გამოცხადებული. თუმცა 6 მათგანზე დღემდე არ გამოჩენილა დაინტერესებული პირი რომელიც შეასრულებს შესაბამის სამუშაოებს.

ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველთა ნაკლებობა განპირობებულია მესტიის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ-კლიმატური სირთულეების შედეგად. ასევე კლიმატური პირობებიდან გამომდინარე სამუშაო პერიოდი წლის განმავლობაში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მოკლეა, ადგილზე დეფიციტია სამშენებლო მასალებისა და შესაბამისი ტექნიკის, რაც თავისთავად კიდევ უფრო აძვირებს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას. ხოლო სავარაუდო ღირებულების შეცვლა და გაზრდა მუნიციპალიტეტს თვითნებურად არ შეუძლია, რადგან თითოეულ პროექტს რომელზეც ტენდერი ცხადდება გავლილი აქვს შესაბამისი ექსპერტიზა.

მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ სულ მომზადდა **291** ხელშეკრულების პროექტი, მათ შორის **111** ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის წესით.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის განკარგულების (სოფლის პროგრამები) ფარგლებში სამუშაოების დროში შეუზღუდავად განხორციელებისა და ეფექტურად შესრულების მიზნით მუნიციპალიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა აღნიშნულ სამუშაოებზე გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ერთ პირთან მოლაპარაკებით.

ეკონომიკა და ტურიზმი

საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად სკოლებისა და ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს მიეცათ ასევე უფლება აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელებინათ ერთ პირთან მოლაპარაკებით, ხოლო შემდგომში აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით. გადაუდებელი აუცილებლობის შესყიდვისათვის შესყიდვების სააგენტოს შესაბამის მოდულში გაგზავნილი გვაქვს 13 მოთხოვნა, საიდანაც 11-ზე მიღებული გვაქვს ნებართვა.

სწორედ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და აღნიშნული პრიორიტეტების საფუძველზე განხორციელებულმა პროექტებმა, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონით განსაზღვრული შეღავათების ამოქმედებამ, მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერმა პოლიტიკამ, ტურიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო იმ ფაქტს რომ ზემო სვანეთის მთელ რიგ სოფლებში აღინიშნება ადგილობრივი მოსახლეობის უკუმიგრაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 9 413 მოქალაქე, ხოლო მერიის სტატისტიკის განყოფილების 2019 წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 10 900-ს.

კერძოდ 2019 წელს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში 57 ოჯახი დაუბრუნდა მამა-პაპისეულ კერას.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის შობადობის მაჩვენებელი (358) ჩვენს მუნიციპალიტეტში 2,5 - ჯერ აღემატება გარდაცვალების მაჩვენებელს (131).

ტურიზმის შეუქცევადი განვითარების შედეგია წლიდან წლამდე მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა. 2019 წელს გაიხსნა 1 სასტუმრო და 158 საოჯახო ტიპის სასტუმრო, ასევე მიმდინარე წელს გაიხსნა 3 ახალი კვების ობიექტი.

ჯამში მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებსა და დაბაში ამჟამად ფუნქციონირებს **690** საოჯახო ტიპის სასტუმრო, **4** სასტუმრო და **3** ჰოსტელი. მათ შორის **340** ფუნქციონირებს დ. მესტიაში, შესაბამისად დაბას დღე-ღამეში **4879** ვიზიტორის მიღება შეუძლია.

მესტიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით 2019 წლის 11 თვის სტატისტიკური მონაცემები უკვე გაზრდილია 1000 ვიზიტორით გასული წლის მთელი წლის მონაცემთან შედარებით.

ამ დროისათვის მუნიციპალური უძრავი ქონება შედგება 249 ერთეულისაგან. მათ შორის იჯარით სარგებლობაში გადაცემულია 73 ერთეული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალმა 11 თვის განმავლობაში შეადგინა 133 417 ლარი). ხოლო დანარჩენი უძრავი ქონების მართვა ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მათ შორის გახლავთ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებშიც განთავსებულია 3 ახალი და 5 რეაბილიტირებული ამბულატორია, 24 საჯარო სკოლა, 22 საბავშვო ბაღი, ასევე 9 კულტურის სახლი, 6 ბიბლიოთეკა, სპორტული ცენტრები და ადმინისტრაციული შენობები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას 2019 წლის 11 თვის მონაცემით, განსახილველად მიღებული აქვს საჯარო რეესტრიდან გადმოგზავნილი 890 სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელთაც დაემატა 2018 წელს მიღებული და წარმოებაში მყოფი 514 წერილი (ჯამში 1428 კორესპონდენცია).

2019 წელს პირველი დეკემბრისთვის ჩატარებულია კომისიის 37 სხდომა, მათ შორის სადავო საკითხის განხილვისთვის აუცილებელი, ზეპირი მოსმენის ფორმატში - 5 სხდომა, რაც მოდავე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას კანონის წინაშე, თანასწორობის პრინციპით, წარმოადგინონ დამატებითი დოკუმენტები და მოიყვანონ მოწმეები. აღნიშნული განხილვების პროცესში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში N1.

ცხრილი N1

2019 წ. 11 თვის მდგომარეობი თ შემოსული დოკუმენტების რაოდენობა	2018 წლიდან გადმოსული წარმოებათა რაოდენობა	2019 წელს სულ განსახილველ ი 11 თვის ფაქტით	განხილულ წერილთა რაოდენობა	მოქალაქის სასარგებლო დ გადაწყვეტილ წარმოებათა რაოდენობა	უარი ეთქვა საკუთრების უფლების ადიარებაზე	შეწყვეტილ წარმოებათა რაოდენობა	მიმდინარე
914	514	1428	916	340	621	211	256

ადიარების კომისიის საქმიანობის პროცესში გამოკვეთილი, რეგისტრაციის შემაფერხებელი გარემოებების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. კომისია წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კავშირის საშუალებით წარუდგენს მათ არსებული პრობლემების დაძლევის საშუალებებს რეგიონში არსებული რეალური გარემოებების გათვალისწინებით.

კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დაინტერესებულ პირთა სამართლებრივი კონსულტირება, საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ცვალებადობის გათვალისწინებით.

ინფრასტრუქტურა

ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური კონსულტაციების და საჯარო განხილვების შედეგად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა მესტიის მუნიციპალიტეტში, უშგულის თემის სოფლების, ჟიბიანის, ჩვიბიანის, მურყმელის და ჩაჭაშის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებები, აგრეთვე დამტკიცდა მულახის თემის სოფლების (9 სოფელი) - **ჭოლაში, არცხელი, ზარდლაში, ლახირი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრას და ცალდაშის** ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები და განაშენიანების რეგულირების გეგმები.

მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის დამტკიცებამდე მესტიის მუნიციპალიტეტში ინტენსიური მშენებლობების რეგულირების მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვექმნა მერთან არსებული სათათბირო ორგანო „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“. 2019 წელს ჩატარებული გვაქვს საბჭოს 7 სხდომა, სადაც გაიცა **62** მშენებლობის ნებართვა, რაც გასულ წელს გაცემულის ნებართვების რაოდენობას **2.2**-ჯერ აღემატება (2018 წელს გაიცა 27 ნებართვა).

საბჭოს მიერ ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 4 ობიექტი; ხოლო შეთანხმებულ იქნა 31 პირველი კლასის ობიექტის მშენებლობა;

მესტიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე 2019 წლის გეგმა გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაზრდილია 18 %-ით და შეადგენს 12 627 492 ლარს.

11 თვის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაციაზე დახარჯულია **1 557 876.36** ლარი. ამ თანხის ფარგლებში:


- მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაიწყო დაბა მესტიაში 15 შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (5 413 219 ლ). ამ პროექტისადმი დაბის მოსახლეობის მაღალი ინტერესის გამო უნდა აღვნიშნოთ რომ პროექტი 2 წლიანია და დასრულდება 2020 წლის სექტემბრის თვეში.

- ამჟამად მიმდინარეობს მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასახელმწიფოებრივი გზიდან სოფ. ჭოლაშის დამაკავშირებელ ხიდთან და სოფ. მაჯვდიერამდე ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები (2 130 558 ლ).
- ჩაუტარდა ნაკრის საავტომობილო ხიდს რეაბილიტაცია (24 851 ლ).
- კალას ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა დავბერისა და ვიჩნაშის საავტომობილო ხიდების რემონტი (39 037 ლ).

ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში მაზერისა (357 558 ლ) და ლახამულას დაკიდული ხიდის (137 719 ლ) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული გვქონდა ტენდერი რომელიც ჩავარდა. ასევე შესყიდული გვაქვს ტვებიშის ხიდისა (246 985 ლ) და ცხუმარის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობის (3 039 999 ლ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, აღნიშნული პროექტები განხორციელდება 2020 წელს.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობაზე დახარჯულია 834 043 ლარი. მათ შორის:

- ცხუმარის, ლატალისა და ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო სანიაღვრე არხები (761 842 ლ).
- ლენჯერში, არცხელსა და იელიში აშენდა გზის საყრდენი კედელი და დამცავი გაბიონები (89 548 ლ);
- სტიქიის საპრევენციო ღონისძიებებისათვის მულახის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ. ჟაბეშსა და სოფ. ჩვაბიანში განხორციელდა ღელების განტვირთვისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები (350 003 ლ);
- გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციისა და დასუფთავების ღონისძიებებზე დახარჯულია 850 800 ლარი.



ისეთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით კომპონენტს, როგორც გახლავთ - ნარჩენების მართვა, მესტიის მუნიციპალიტეტში გამოწვევა იყო გარემოში ნარჩენების უკონტროლო განთავსების აღკვეთის მიზნით ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულში;

ვინაიდან 2014 წლამდე მუნიციპალიტეტში არ არსებობდა ნარჩენების მართვის სისტემა, სათანადო ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მომსახურება, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნარჩენები იყრებოდა გზის პირებზე, ხევებში, მდინარეებსა და ღელის კალაპოტებში, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ამ ეტაპისთვის ნარჩენების შეგროვება, გამოტანა და ნარჩენების გადამტვირთ სადგურზე განთავსება ხდება მუნიციპალიტეტის დასახლებათა დაახლოებით 60%-დან. აგრეთვე, ტურისტული, სპორტული, რეკრეაციული და მინდინარე ინფრასტრუქტურული საპროექტო არეალებიდან; აღნიშნული ვალდებულების შესრულების რეალიზებას ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ გაცხადებულმა პოლიტიკამ ნარჩენების მართვის მიზნით, შექმნილმა საკანონმდებლო რეგულაციებმა, უცხოურმა დონორმა ორგანიზაციებმა და ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში 5 წლიანი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებამ. შესაბამისად მუნიციპალიტეტმა 2014 წელს დააფუძნა სამსახური, რომლის დინამიურად განვითარების პროცესი დღემდე გრძელდება, რასაც ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გარდა ხელი შეუწყო აგრეთვე დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებამ რომელმაც თუ 2014 წელს, წლიურად შეადგინა მხოლოდ 90 ლარი, 2018 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 87 488 ლარამდე, ხოლო 2019 წლისთვის 120 000 ლარის მოსკრებლის ადგილობრივ ბიუჯეტში ადმინისტრირება არის დაგეგმილი, თუმცა მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემით, ბიუჯეტში უკვე შემოსულია 111 000 ლარი.

ამჟამად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის KfW მხარდაჭერით, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მყარი ნარჩენების მართვის პროგრამის ფარგლებში გეგმავს რეგიონული ნაგავსაყრელით, მუნიციპალიტეტებში სატრანსფერო სადგურებით და შესაბამისი აღჭურვილობით მუნიციპალიტეტებისა და მთლიანად ამ ორი რეგიონის უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვანი წინ გადაგმული ნაბიჯი იქნება გარემოს დაცვის მიზნით.

სოციალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით 1 459 138 ლარი დაიხარჯა. მათ შორის სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ხაიშისა და ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნები (166185 ლ), ხოლო ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში შენდება სპორტდარბაზი (125 553 ლ).

მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა რეაბილიტაციისა და ადაპტირებისთვის შესყიდული გვაქვს 162 840 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განსახორციელებელი პროექტის მთლიანი ღირებულება 6 000 000 ლარს აღემატება. აქედან სპორტული კომპლექსის პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის საჭირო თანხა 2 600 000 ლარი უზრუნველყოფილი იქნება მიმდინარე წელს სახელმწიფო ქონების (დ. მესტიაში მდებარე პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენცია) გაყიდვიდან მიღებული თანხით.

ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ჭუბერის, ხაიშის, ლატალის, კალასა და უშგულის ამბულატორიებს ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები (83 235 ლ). ახალი ამბულატორიები შენდება ლენჯერის (110 565 ლ), ნაკრასა (102 400 ლ) და ეცერის (109 045 ლ) ადმინისტრაციულ ერთეულებში.



2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის 162 სოფელში 1 769 775 ლარის სამუშაოები შესრულდა, მათ შორის 195 775 ლარი დამატებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაციის მიზნით 60 სოფელში დაიხარჯა 763 541 ლარი. ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით 28 სოფელში განხორციელდა 21 პროექტი (284 442 ლ). 35 სოფელში წყლის სისტემის მშენებლობის და რემონტის, წყალარინების სისტემის მოწყობისა და საკანალიზაციო მიწების შეძენის 20 სხვადასხვა პროექტი განხორციელდა (406 070 ლ).

სპორტული ინვენტარის შეძენისა და მინი სტადიონების მოწყობის 5 პროექტი განხორციელდა 9 სოფელში (80 263 ლ). სასაფლაოების შემოღობვის მიზნით 8 პროექტი განხორციელდა 15 სხვადასხვა სოფელში (157 111 ლ).



აღსანიშნავია რომ ყველა განხორციელებული პროექტის პრიორიტეტულობა განისაზღვრა თითოეულ სოფელში ჩატარებულ დასახლების საერთო კრებაზე უშუალოდ ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. მათ შორის მოხდა რამდენიმე სოფლის თანხის გაერთიანება და ერთი პროექტით საერთო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძველზე დამატებით შევისყიდეთ 155 000 ლარის ღირებულების წყლისა და საკანალიზაციო მიწები.

სვანეთის არქიტექტურის ისტორიული იერსახის შენარჩუნების მიზნით შევიმუშავეთ „მშენებარე და არსებული საცხოვრებელი სახლებისა და სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბების) სახურავების რეაბილიტაციის“ პროგრამა, რაც გულისხმობს საცხოვრებელი სახლებისა და მაჩუბების ერთი ფერის, მუქი ნაცრისფერი მასალით გადახურვას. პროგრამის საფუძველზე დღეისათვის 377 580 ლარის ფარგლებში დაფინანსებული გვყავს 213 ოჯახი.

მესტიის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროს დაფინანსებისთვის განსაზღვრული იყო 1 904 243 ლარი, რაც გასული წლის გეგმასთან შედარებით 893 815 ლარით მეტია.

ჩვენთვის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მომავალ თაობაზე ზრუნვა წარმოადგენს. გამომდინარე აქედან სკოლამდელი აღზრდის სისტემის გაძლიერება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი.

მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით განათლების სფეროს დაფინანსებისთვის უკვე დახარჯულია 1 441 113.58 ლარი.

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 მუნიციპალური საბავშვო ბაღი. 2013 წელს პირველი რაც გავაკეთეთ, შევისწავლეთ ბაღებში არსებული მდგომარეობა. დასკვნამ აჩვენა რომ საბავშვო ბაღების უმეტესობა ბავშვებისთვის სახიფათო გარემოს წარმოადგენდა, იმდენად იყო მწყობრიდან გამოსული. სწორედ აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეისყიდა თანამედროვე სტანდარტების 16 ბაღის შენობის პროექტი და დაიწყო მათი ეტაპობრივი განხორციელება.

პირველი საბავშვო ბაღი რომელიც გადაუდებელი აუცილებლობით ავაშენეთ, გახლდათ წვირმის საბავშვო ბაღი, სოფელში იმ დროისთვის არსებული კონტიგენტის გათვალისწინებით.

დღეისათვის უკვე დასრულებულია შვიდი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის მშენებლობა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: ჭუბერი, ნაკრა, ფარი, ლენჯერი, იდლიანი, ხაიში და ეცერი. მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა ლატალისა (359 998 ლ) და ცხუმარის (477 777 ლ) ადმინისტრაციულ ერთეულებში.



გარდა ამისა 2018-2019 წლებში გარემონტდა არსებული საბავშვო ბაღები: ბეჩოს (უშხვანარი), ლახამულას, დ. მესტიის (N1 და N2), კალასა და მულახის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2020 წელს განხორციელდება მაზერის, ჭოლაშის და მესტიის საბავშვო ბაღების მშენებლობა. პროექტის განხორციელებაში 2 430 000 ლარი დაიხარჯება.

ასევე ჭუბერისა და ყარ-სგურიშის საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული იყო ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა და შესაბამისად აღნიშნული პროექტები განხორციელდება მომდევნო წელს (1 620 000 ლ).

ასევე ეტაპობრივად გაგრძელდება და 2022 წლამდე დასრულდება დარჩენილი ყველა საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ა.(ა).ი.პ. „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების“ მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 48 456 ლარით და შეადგენს 1 035 021 ლარს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულია 535 აღსაზრდელი, ფაქტიური ყოველდღიური დასწრება კი შეადგენს 55-70%-ს.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლისთვის საბავშვო ბაღებში 1 ბავშვზე გათვლილი კვების ხარჯი შეადგენდა 0.71 ლარს. ჩვენი ძალისხმევით შედეგად, პირველ ეტაპზე აღნიშნული თანხა გასამმაგდა, ხოლო დღეისთვის 1 ბავშვზე გათვლილი კვების ხარჯი დღეში 4 ლარს შეადგენს.

2019 წელს გაერთიანებას დაემატა 23 შტატი და წელსვე ხელფასის ოდენობამ გაიზარდა 10 %-ით.

მიუხედავად ამისა, პრობლემად ისევ რჩება საბავშვო ბაღების პერსონალის დაბალი ხელფასი და საშტატო ერთეულის დეფიციტი, რაც იწვევს პერსონალის დამატებით დატვირთვას ფიზიკური შრომით. 2020 წლის სექტემბრისთვის განათლების სამინისტროს მიერ, განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, დაგეგმილია საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებთან ხელფასების 100 ლარით გაზრდა.

რაც შეეხება საჯარო სკოლებს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის განკარგულებით, მესტიის მუნიციპალიტეტს გადაეცა დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა მიზნობრივი ტრანსფერი საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის.

აღნიშნული თანხით გადაიხურა კალას, ლენჯერის #2 და ფარის საჯარო სკოლები, მუჟალის სკოლაში მოეწყო სველი წერტილები, საკანალიზაციო სისტემა და შემოყვანილ იქნა სასმელი წყალი.

ლატალის საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები და საკანალიზაციო სისტემა, ასევე გამოიცვალა ელექტროგაყვანილობა. სარემონტო სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ აღნიშნულ 5 სკოლაში შეადგინა 310 000 ლარი. ასევე მიმდინარე წელს მესტიის #2 საჯარო სკოლის შესასვლელში მოეწყო ქვის გალავანი (14 033 ლ).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლის მიმდინარე მშენებლობა, რომლის ღირებულება 1 298 588 ლარს შეადგენს.

საერთო სახელმწიფოებრივი პროექტებიდან ხორციელდება ჯვარი-მესტია-უშგულის -ლასდილის საავტომობილო გზის მშენებლობა კალა-უშგულის მონაკვეთზე (165 – 180 კმ), რომლის ღირებულებაც შეადგენს 12 775 000 ლარს.

მიმდინარე წელს დასრულდა ბეჩო-შიხრას 7 კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც დაიგო რკინა-ბეტონის საფარი 2 400 000 ლარის ღირებულებით.

მიმდინარე წლის 25 მაისს საზეიმო ვითრებაში გაიხსნა ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი, რომლის მშენებლობა 2016 წლის მაისის თვეში დაიწყო. პროექტის ფარგლებში თეატრის არსებულ შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, საერთო ღირებულებით 4 334 261 ლარი.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, რადგან ჩვენს მუნიციპალიტეტში მსგავსი კულტურის სახლი არ არსებობდა. ამ პროექტის განხორციელება არის ნამდვილად ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში.





ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის 11 თვის გეგმა შეადგენს 986 897 ლარს.

მათ შორის სოციალური პროგრამების უზრუნველყოფისათვის 2019 გამოიყო 472 000 ლარი, რომელსაც 2018 წლის 5 ივლისს ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, დაზარალებული 17 ოჯახის გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების საკომპენსაციოდ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხიდან ექვსი ოჯახის საკომპენსაციო 2019 წელს თანხის გადასარიცხად დაემატა 432 240 ლარი.

მიმდინარე წლის 11 თვის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის მიერ სულ განხილულია 1164 განცხადება, რომელთაგან 979 განცხადება დაფინანსდა 840 464 ლარით.

სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გავუწიეთ 33 განმცხადებელს - 62 800 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წელს დასრულდა კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსების კოორდინირების შედეგად.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოყო 2000 კვ. მ. ფართობის ტერიტორია, იაპონიის საელჩოს მიერ გამოიყო 86 271 დოლარი, ბულგარეთის საელჩო - 62 940 ევრო, სს „სვანეთი ჰიდროს“ მიერ 65 000 ლარი, 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 59 530 ლარი.

მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ ბავშვებს და მათ მშობლებს უკვე აქვთ შესაძლებლობა თვეში 10 დღის განმავლობაში სარეაბილიტაციო ცენტრში არსებული საცხოვრებელი კომპლექსით და შესაბამისი მომსახურებით ისარგებლონ (პროგრამის ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა - 20 000 ლ). რისთვისაც რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა დარგობრივი სპეციალისტების გადამზადების პროცესი, როგორც პედაგოგების ასევე სამედიცინო პერსონალის, რომელთა შერჩევაც მოხდა კონკურსის საფუძველზე შესაბამისი კომისიის მიერ. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის ბოლოსთვის სარეაბილიტაციო ცენტრში დღის ცენტრის პროგრამით ისარგებლა უკვე 8 ბენეფიციარმა. ცენტრის ბაზაზე იგეგმება მომსახურების არეალის გაფართოება.



მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის სფეროში არსებობს გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. კერძოდ **მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანების** მატერიალურ ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების თანმიმდევრული დახმარებითა და საკუთარი რესურსების მობილიზებით. გაიმართა ცენტრალური გათბობის სისტემა, დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და საევაკუაციო კიბე.

შემენილი იქნა 40 000 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა და ინსტრუმენტები, რამაც შესაძლებელი გახადა შენარჩუნებულიყო ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა სამეანო-ნეონატალური სერვისი. აღსანიშნავია, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთში აღნიშნული სერვისის მიწოდებაზე ნებართვა მხოლოდ სამ საავადმყოფოს აქვს მინიჭებული.

საავადმყოფო აღიჭურვა 170 000 ლარის ღირებულების ბოლო თაობის ლაპარასკოპიული აპარატურით და ინსტრუმენტებით. პირველად, ადგილობრივი კადრების მიერ შესრულდა რამდენიმე წარმატებული ურგენტული და გეგმიური ლაპარასკოპიული ოპერაცია.

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით პერიოდულად ხდება სხვადასხვა პროფილის წამყვანი სამედიცინო ცენტრებიდან ექიმთა ბრიგადების ვიზიტი, რომლებიც ატარებენ უსასყიდლო სამედიცინო გამოკვლევებს, და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი კადრებისთვის ტრენინგების ჩატარებას.

მუნიციპალიტეტში ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას როგორიცაა იმუნიზაციის, უსაფრთხო სისხლის დონაციის, ტუბერკულოზის, შიდსის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ეპიდზედამხედველობის პროგრამები, ახორციელებს მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. სახელმწიფო იმუნიზაციის განახლებული კალენდრით დაიწყო აგრეთვე, ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრები და აღსანიშნავია რომ ჩვენი კალენდარი თითქმის სრულიად ჰარმონიზებულია ევროკავშირის კალენდართან.

ცენტრი აგრეთვე ახორციელებს არაინფექციურ დაავადებათა სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს საჯარო სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სილამაზის სალონებში.

გასული წლის პერიოდში ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: გამოვლინდა ტუბერკულოზის 10 კერა, ცოფის რისკის მქონე 207 ექსპოზიცია, დადასტურებული ვირუსული C ჰეპატიტი - 30, რომელთაგან 27 ჩაერთო მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში, 10 ჩუტყვავილის შემთხვევა და სავარაუდოდ 178 საკვებისმიერი მოშხამვა. ყველა კვლევა და მათი შედეგები დინამიურად აისახება დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ ელექტრონულ სისტემაში.

სწორედ აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე მიმდინარე წელს, დაბა მესტიაში სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი, თანამედროვე სტანდარტების ოფისი გაიხსნა. მოგეხსენებათ, სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ღონისძიებებს ისეთი მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორებიცაა სურსათის უვნებლობა, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვა. შენობაში ასევე განთავსებულია სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სოფლის მეურნეობის ლაბორატორია.



განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული პროგრამები

ახალგაზრდული, სპორტული და კულტურული ღონისძიებების 11 თვის გეგმა 1 738 200 ლარია, რაც წინა წელთან შედარებით 290 577 ლარით მეტია.

ახალგაზრდა თაობისათვის განათლების ხელშეწყობა, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას აუცილებლობად მიაჩნია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს სწავლა-განათლებაში და გაუწიოს მათ ფინანსური დახმარება.

- პროექტი „მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსება“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებულ პროექტია, რომელიც ითვალისწინებს პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსებას 1000 ლარით. პროექტის ფარგლებში 2013-2018 წლების მონაცემებით 420 სტუდენტი დაფინანსდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტაციის მიღება. დაფინანსება მოხდება 2020 წლის პირველ კვარტალში, პროგრამისთვის ყოველწლიურად ბიუჯეტით გათვალისწინებულია 70 000 ლარი.
- უკვე მე-7 წელია მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით (3 000 ლ) ხორციელდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი ეტალონი, სადაც ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მასშტაბით 70-80 მოსწავლე მონაწილეობს.
- გერმანიის ქ. მიუნხენში გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ პროფესიული კოლეჯი თეთნულდის ბაზაზე არსებული ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის (ACCESS) სასტიპენდიო პროგრამაში ჩართული მოსწავლეები. რომელთა ტრანსპორტირების ხარჯი - 15 000 ლარი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნა დაფინანსებული.
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ საცეკვაო ფორმების შესაძენად დააფინანსა დაბა მესტიაში არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები („ბანგურიანი“ - 13 400 ლ და „ლილეო“ - 15 190 ლ).
- მუნიციპალიტეტიდან 2017 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 6 000 ლარით დაფინანსდა, ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდში აღრიცხული ლეიკემიით დაავადებული ბავშვები.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 2012 წლიდან ახორციელებს სვანეთის მასშტაბით სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებს, რაც ყოველწლიურად 20 000 ლარის ოდენობით ფინანსდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ექსპედიციის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

მოგეხსენებათ 2018 წლის 22 მარტს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე „მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო ხელოვნების სკოლის“, „ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრისა“ და „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის“ ა.ა.ი.პ-ების გაერთიანების შედეგად დაფუძნდა ახალი ა.ა.ი.პ. „მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“.

ა.ა.ი.პ. „მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს **642 598** ლარს.

მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“ მრავალი ათეული წელია ემსახურება სვანური ფოლკლორის აღდგენა/შენარჩუნებას და დღესაც არა მარტო ჩვენი კუთხის არამედ მთელი ქვეყნის ღირსეული და თვალსაჩინო ანსამბლია.

ანსამბლი „რიჰო“ ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების აქტიური და უცვლელი მონაწილეა. 2019 წელს ანსამბლმა „რიჰომ“ მონაწილეობა ოცამდე ღონისძიებაში, ჩვენს მუნიციპალიტეტში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თუ საზღვრებს გარეთ.

- ანსამბლი „რიჰო“ მიწვეულ იყო იტალიაში (დოლომიტებში), მიხეილ ხერგიანის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე;
- 2019 წელს „რიჰო“ მიწვეული იყო პოლონეთში საერთაშორისო ფესტივალზე ქალაქებში შჩეცინი და პეჟეცა;
- „რიჰო“ მიწვეულ იქნა არხოტში ფესტივალზე „გადავარჩინოთ ამლა“;
- 2019 წლის 2 აგვისტოს სვანეთი მასპინძლის სტატუსით მიწვეული იყო საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში „ილიაობაზე“. მესტიის და ლენტეხის ანსამბლებმა „რიჰო“-მ და „ლილე“-მ ერთად უმასპინძლეს მთელ საქართველოს და უძველესი სვანური ფოლკლორული სასიმღერო და საფერხულო ნომრები წარმოადგინეს, რამაც იქ მოსული საზოგადოების აღფრთოვანება და დიდი მოწონება დაიმსახურა;

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ, განხორციელდა სვანური ზარის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, ახალგაზრდა თაობებზე გადაცემის პროექტი, რომლის ფარგლებში მოდიებულ იქნა სვანური ზარის შვიდივე ვარიანტის მცოდნე უხუცესი შემსრულებელ-მენტორები, რომელთაც სიმბოლური საზღაურის სანაცვლოდ პირველ ეტაპზე ანსამბლ „რიჰო“-ს წევრებთან ჩაატარეს საინფორმაციო და პრაქტიკული მასტერკლასები. მესტიის მუნიციპალიტეტის ლატალის, ნაკრის, ლენჯერის და იფარის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს თავიანთ სოფელში ახალგაზრდა შემსრულებლების მოძიება და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- 3 მარტს, მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით აღინიშნა „დედის დღე“ სადაც დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 10 ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- გრანდიოზულად აღინიშნა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება მესტიაში, თეთნულდის მთაზე გაიმართა ბორია კახიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი. სპეციალურად ამ დღისთვის დამონტაჟდა „ჰეშვილის ცის საქანელა“ რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება გამოიწვია ვიზიტორებში.
- მე-7 წელია ტარდება ტრადიციული ფესტივალი „სვანეთობა“, ფესტივალის ძირითადი მახასიათებელი კულტურულ ღონისძიებასთან ერთად გახლავთ უძველესი სვანური, ტრადიციული, ხშირ შემთხვევაში მივიწყებას მიცემული მდიდარი და განსხვავებული სამზარეულოს წარდგენა.

ა.ა).ი.პ. მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სკოლისგარეშე სამხატვრო, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლაში 38 მოსწავლეა რეგისტრირებული, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაორმაგებულია. პრობლემად რჩება სკოლის ამორტიზებული შენობა, რომელსაც განახლება და რეკონსტრუქცია სჭირდება.



მესტიის ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი, გახსნის დღიდან აქტიურად სთავაზობს მაყურებელს სხვადასხვა აქტივობებს.

თეატრალური წარმოდგენები:

- თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული თეატრი, სპექტაკლით „არ გვიხდინა?! არ გადავიხდით!“;
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული თეატრი, სპექტაკლით „პეიზაჟს აკლია სითბო“;
- ქ. ხობის მოძრავი თოჯინების თეატრი სპექტაკლით: „მაიმუნი, ჩიტა და მელია“;
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული თეატრი სპექტაკლით „მთვრალი ალუბალი“;
- ქ. ზუგდიდის შ. დადიანი სახელობის პროფესიული თეატრი საბავშვო სპექტაკლით „წითელქუდა“;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის საბავშვო სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“;
- ამბროლაურის კულტურის ცენტრი საქართველოს თეატრალური საზოგადოება სპექტაკლით „ზვავი“.

კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები:

- თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრი - „საქართველოს სიმფონიეტა“;
- პოპულარული ჯაზ-ფოლკ ანსამბლ „ეგ არი“-ს კონცერტი;
- ანსამბლ „რიჰო“-ს და ამერიკულ ფოლკლორულ ანსამბლ „Vilaage Harmony“-ს ერთობლივი კონცერტი;
- ანსამბლ „რიჰოს“ 15 კონცერტი.

მოეწყო 12 სხვადასხვა ჟანრის ანიმაციური, დოკუმენტური და მხატვრული ფილმის კინოჩვენება და უმასპინძლა ათამდე სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებებს.



მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბიბლიოთეკა: 2019 წლისთვის დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა შეადგენს 25 საშტატო ერთეულს, აქედან 2 არასაშტატო. 2019 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 78 340 ლარს. რაც შეეხება წიგნად ფონდს, მთავარ ბიბლიოთეკაში არის 21 723 წიგნი; სოფლებში სულ არის 41 258 წიგნი.

მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში რეგისტრირებულია 260 ბენეფიციარი. სპორტსმენებმა 2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს 141 მედალი. მათ შორის 64 ოქრო, 43 ვერცხლი, 35 ბრინჯაო.

შედეგები ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგია:

- ძიუდო - 31 ოქრო, 14 ვერცხლი, 20 ბრინჯაო;
- კრივი -1 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო;
- მეკლდეურობა - 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო;
- სამთო-სათხილამურო - 27 ოქრო, 22 ვერცხლი, 8 ბრინჯაო;
- სამბო - 2 ოქრო, 2 ბრინჯაო;
- სნოუბორდი - 3 ოქრო, 2 ვერცხლი.

ძიუდოს (6), კრივის (2), სამთო-სათხილამურო სპორტის (5), სნოუბორდისა (3) და მეკლდეურობის (6) საქართველოს ნაკრებ გუნდებში ირიცხება მუნიციპალიტეტის 22 სპორტსმენი.

- 2013 წლიდან ტრადიციულად ტარდება ISAF-ის მისიაში გმირულად დაღუპული მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის, სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის მუხრან შუკვანის სახელობის გარდამავალი თასის ტურნირი მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის გუნდები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის გუნდი და მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების გუნდები. ტურნირში ჩართულია 240 ფეხბურთელი.
- უკვე მეშვიდე წელია ჩვენი მუნიციპალიტეტი ჩართულია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პროგრამაში ოლიმპიადაში ყოველწლიურად მონაწილეობს 180 - 200 ბავშვი. 2019 წლის ოლიმპიადაში სამი ეტაპი წარმატებით გადალახა ჭუბერის გუნდმა. აღსანიშნავია რომ 2018 წელს ოლიმპიადის ფარგლებში გამარჯვება მოიპოვა ჭუბერის საჯარო სკოლის ფრენბურთის გუნდმა, რომელიც 2020 წლის მსოფლიო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტია 5 000 ლარი.
- ქ. რიგაში გამართულ ევროპის კადეტ სამბისტთა პირველობაზე, მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის მცხოვრებმა დავით გირგვლიანმა. რომელის ევროპის მეორე პრიზიორი გახდა, პირველობაზე მონაწილეობა მერიამ 2 806 ლარით დააფინანსა.
- იტალიაში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდ ბავშვთა შორის გაიმართა შეჯიბრი „პინოქიო“. საქართველოდან მონაწილე 6 ახალგაზრდას შორის იყო 3 მესტიის მუნიციპალიტეტის მცხოვრები, რომელთაც მერიამ 3000 ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

საგარეო ურთიერთობები

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს ტელშაის მერის, პეტრას კუიზინასის მიწვევით ვიმყოფებოდით ტელშაის (ლიეტუვა) მუნიციპალიტეტში, სადაც ხელი მოვაწერეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში, რომელიც აგრეთვე ეძღვნებოდა ლიეტუვას დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილეს. მემორანდუმი მოიცავს თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში: განათლება, კულტურა, ტურიზმი, ეკონომიკა და სპორტი.

სწორედ აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში საზაფხულო სპორტულ ბანაკში მუნიციპალიტეტიდან იმყოფებოდა 10 ახალგაზრდა სადაც 15 გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავეს.

მიმდინარე წლის აგვისტოში მესტიის მუნიციპალიტეტს სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ამერიკელი ექსპერტები, ვაშინგტონის შტატის ქ. ნორთ-ბენდიდან.

ქალაქ ნორთ-ბენდთან თანამშრომლობა შემოთავაზებულ იქნა აზიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენლების მიერ, ტურიზმის სფეროს მზარდი განვითარების კუთხით. აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს გამოცდილების გაზიარებას შემდეგ საკითხებში: მუნიციპალიტეტის ურბანული არეალების ზონირება, შენობა ნაგებობათა იერსახე, დაბა მესტიაში მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების რეგულირების სისტემა და საპარკინგე სივრცეების მოწყობა.



მოქალაქეთა მოსახურება

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში, საანგარიშო პერიოდში შემოსულია მოქალაქეთა 1820 განცხადება, რაც გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით 200-მდე განცხადებით მეტია, ხოლო ბოლო ხუთი წლის სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ მერიაში მოქალაქეთა მომართვიანობა თითქმის სამჯერ არის გაზრდილი. მათი შესრულების მაჩვენებელი კი საშუალოდ 88 პროცენტს შეადგენს.

ასევე, მოქალაქეთა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გაიცა - 27 სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია.

რაც შეეხება მერიის მიერ მომზადებულ და გაგზავნილ კორესპონდენციათა რაოდენობას, მან 700 ერთეულით გადააჭარბა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით (1644 წერილი) მომზადებულ წერილთა რაოდენობას.

- მერიაში არსებობს მერთან არსებული სათათბირო ორგანო - „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“, რომელიც ირჩევა მერის უფლებამოსილების ვადით და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მოქალაქეთა მეტი ჩართულობის კიდეც ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.
- ასევე, 2016 წლიდან, მერიაში ფუნქციონირებს „პირის მესტიის მუნიციპალიტეტში ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირებს შესაძლებლობას აძლევს სამართლებრივად დაადასტურონ მათი პიროვნების იდენტობა და მოქალაქეობა. აღნიშნული კომისიის საქმიანობის ფარგლებში მერიას დღემდე, განხილული და გადაწყვეტილი აქვს 15 საქმე.
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად არის ჩართული „მესტიის მუნიციპალიტეტში მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ საქმიანობის პროცესში.

- მერიაში 2016 წლიდან ფუნქციონირებს „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხთა საბჭო“, რომელმაც 2018 წელს 476 მოქალაქის განცხადებიდან 207-ს მიანიჭა მთის მკვიდრის სტატუსი, ხოლო მიმდინარე წელს შემოსული 179 განაცხადიდან მთის მკვიდრის სტატუსი მიენიჭა 164 მოქალაქეს. შედეგად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით დღეისათვის სარგებლობს:
- საპენსიო ასაკს მიღწეული და სოციალური პაკეტის მიმღები **2187** ბენეფიციარი-20% დანამატით. (2018 წელს - **2154 ბენეფიციარი**);
- პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში 100 ლარიან დახმარებას იღებს 73 ბენეფიციარი (2018 წელს - **92 ბენეფიციარი**);
- მესამე და შემდეგ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში 200 ლარიან დახმარებას იღებს 109 ბენეფიციარი (2018 წელს - **121 ბენეფიციარი**).

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის 2019 წლის მონაცემებით აღრიცხვაზე სულ 462 აქედან:

110 სტუდენტი;
 13 შეზღუდულად ვარგისი;
 18 ჯანმთ. მდგომარეობა;
 40 მოსწავლე;
 1 ოჯახის მარჩენალი;
 14 დედისერთა;
 1 სოფლის მასწავლებელი;
 21 ჰყავს ერთი, ორი ან მეტი შვილი;
 5 გასულია საზღვარგარეთ;

17 შეცვლილი აქვს საცხოვრებელი ადგილი;
 5 პირობითი მსჯავრდებული;
 7 პატიმარი;
 241 გამოძახებას ექვემდებარება;
 7 გირჩის გაერთიანების წევრი;
 4 იეჰოვას მოწმე;
 19 გაწვეულია;
 7 ჩაირიცხა.

მადლობა ყურადღებისათვის!

27 დეკემბერი, 2019 წელი
დ. მესტია